ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180943616**

თარიღი: **04.04.2018**

ადრესატი:
კობა კილასონია
პირადი ნომერი: 39001029477
მისამართი: სენაკი ს. ნოსირი მე–16 ქ. N 17

ბატონო კობა,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/01173541587-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, ქუჩა გროზნო N11ა-ში 2017 წლის 28 აპრილის N3234345 (AR1483645) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლის მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

4-1 ფასადზე: შეცვლილია კარისა და ფანჯრების ნახატები. შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და კონფიგურაცია. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. 2-2 ღერძისკენ +6,30 ნიშნულზე გაუქმებულია ფანჯარა. დამატებით მოწყობილია ფილა და აივანი. 4-2 მონაკვეთში გაუქმებულია მოაჯირები. 4-3 მონაკვეთში კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. ფასადზე დამატებით მოწყობილია რიგელები და ლითონის კონსტრუქციები. 3-2 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონა და საფეხურები.

გ-ა ფასადზე: გ-ბ მონაკვეთში კარების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. დამატებით მოწყობილია რიგელები. ა-ა ღერძის გარეთ +6,30 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კედელი და გამათბობლის ქვაბები.

1-4 ფასადზე: 3-3 ღერძისკენ შეცვლილია კედლის ფორმა.

გეგმების მიხედვით: შეცვლილია კარ-ფანჯრების გაბარიტები და ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი. შეცვლილია კედლის ფორმები და სისქე, ნაწილობრივ შეცვლილია მათ შორის მანძილები. ნაწილობრივ შეცვლილია ღებვის ფერი. ნაწილობრივ შეცვლილია სართულის სიმაღლეები. +6,30 ნიშნულზე ა-ა ღერძის გარეთ 2-2 ღრძე გაზრდილია ბაქნის კაბარიტები.

შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები და ფართი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01181063363**

თარიღი: **16.04.2018**

ადრესატი:
კობა კილასონია
პირადი ნომერი: 39001029477
მისამართი: ქ. ტბილისი, გროზნოს ქ. N11ა, ბ. 4

ბატონო კობა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ თქვენს N19/01173541587-17 განცხადებაზე გამოგზავნილ N17-01180943616 წერილში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების სარეკომენდაციო წერილში შეცდომით იქნა მითითებული ,,შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები და ფართი". სამსახურმა იმსჯელა ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის N17-01180943616 წერილში და სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებულ იქნას ,,შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები და ფართი".

წინამდებარე წერილი განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 17-01180943616 წერილთან ერთად.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე